ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ინტერნეტ სერვისის მომსახურების შესახებ

No: **136221**

ქ. თბილისი 21/01/20 წ

შპს „**MAXNET**" (ს/კ 439393390) მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოქმედი შემდეგ იურიდიულ მისამართზე: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დ.გურამიშვილის გამზირი, №12ა, კორპ. №5, ფართი №13. წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ სარდაროვის სახით (შემდეგში მოხსენიებული, როგორც "შემსრულებელი"), ერთის მხრივ და **ა(ა)იპ თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი** (ს/კ 231288754) მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოქმედი შემდეგ იურიდიულ მისამართზე: საქართველო, ქ. თელავი, დ. რექტორის ქ., №8 წარმოდგენილი გიორგი დაღუნდარიძეს სახით (შემდეგში მოხსენიებული, როგორც "დამკვეთი"), მეორეს მხრივ, ერთად კი მხარეები, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულება არეგულირებს მხარეებს შორის ქვემოთმოცემული სერვისის მოხმარებას.
1.2 შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთს ინტერნეტ სერვისით.

2. სერვისი

2.1 შემსრულებელი დამკვეთს ინტერნეტ სერვისით უზრუნველყოფს კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში.
2.2 შემსრულებელი დამკვეთს უზრუნველყოფს შემდეგი ინტერნეტ სიჩქარით,

ინტერნეტ სიჩქარე	2 მბ/წ
ლოკალური ინტერნეტ სიჩქარე	2 მბ/წ
მომსახურების ზონა	ქ.თელავი , ნადიკვრის ქ

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

<u>3.1 კომპანიის მოვალეობები:</u>
3.1.1 უზრუნველყოს დამკვეთი 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში ინტერნეტ სერვისით.
3.1.2 დამკვეთის სწრაფი ინფორმირება (ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით 24 სთ-ის განმავლობაში) ნებისმიერი სახის ტექნიკური გაუმართავობის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები და დროულად მოახდინოს ტექნიკური პრობლემის გამოსწორება.
3.1.3 დამკვეთის ინფორმირება ორი დღით ადრე აუცილებელი პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების შესახებ.
<u>3.2 დამკვეთის მოვალეობები:</u>
3.2.1 დამკვეთი უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3.2.2 დროულად უზრუნველყოს საზღაურის ანგარიშსწორება.
<u>3.3 დამკვეთის უფლებები:</u>
3.3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან მაღალხარისხიანი და უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა.
3.3.2 მოითხოვოს ინფორმაცია ნებისმიერი სახის ქსელის გათიშვებისა და გამოუსწორებლობის შესახებ და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია კომპანიისაგან.

4. საზღაური და ანგარიშსწორების პირობები

4.1 ხელშეკრულების 1.2 და 2.2 მუხლში მოცემული ინტერნეტ სერვისისათვის დამკვეთი შემსრულებელს ყოველთვიურად გადაუხდის **30 (ოცდაათი)** ლარს, ანგარიშსწორება მხარეებს შორის წარმოებს წინასწარ საანგარიშწორებო თვის 30 რიცხვამდე.
4.2. ინტერნეტ სერვისის მიღებისთანავე მხარეები აფორმებენ ინტერნეტ სერვისის მიწოდებისა და აპარატურის ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტს. ასევე, აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტში აღწერილია დამკვეთის მხარეს დაინსტალირებული აპარატურის ჩამონათვალი და რადენობა.
4.3. კომპანია სერვისის მისაღებად დაუმონტაჟებს (Wifi A/B/C/N სტანდარტის) - აპარატურს სრულ კომპლექტს. კომპანია დამკვეთის წარმომადგენელს აპარატურას ჩააბარებს უნაკლო და მუშა მდგომარეობაში. დამკვეთის მიერ აპარატურის დაზიანების შემთხვევაში (აპარატურის დაზიანებაში იგულისხმება: 1. აპარატურის დაზიანება , რომელიც გამოწვეულია კვების არასწორი მიწოდებით; 2. ფიზიკური ზემოქმედებით გამოწვეული ნაწილობრივი ან სრული დაზიანება) დამკვეთი ვალდებულია კომპანიას გადაუხადოს მიღება-ჩაბარების აქტში აღწერილი აპარატურის ღირებულება ჯარიმის სახით. აპარატურა წარმოადგენს შპს „**MAXNET**" ის საკუთრებას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს მომსახურეობა გაუწიოს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2 იმ შემთხვევაში, თუ ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე არ შეატყობინებს მეორეს,ხელშეკრულების ვადის შეწყვეტის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე ვადითა და პირობებით.
5.3 ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობით ერთი საანგარიშსწორებო თვით ადრე.

6. ფორს მაჟორული გარემოება

6.1 ხელშეკრულებაში განხილული შემთხვევების გარდა, არც ერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი შესრულების დაყოვნებაში, პირდაპირი ან ირიბი დაუძლეველი ძალის მიზეზის არსებობისას. დაუძლეველი ძალის მიზეზს წარმოადგენს ნებისმიერი სამოქალაქო არეულობა, ქარიშხალი, ომი, ხანძარი, გაფიცვები, სოციალურად საშიში ელემენტების მოქმედება, აჯანყება. გაფიცვები მომუშავე პერსონალს შორის, რომელიც მოიცავს "შემსრულებლის" პერსონალს, არ ჩაითვლება დაუძლეველი ძალის მიზეზად.
6.2 დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოქმნილი შემთხვევის შესახებ, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შემთხვევის შესახებ და მიიღოს ყველა შესაძლო ძალისხმევა დაუძლეველი ძალის მიერ წარმოქმნილი ცვლილებების აღმოფხვრის ან შემსუბუქებისათვის.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 მხარეები ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილ ნებისმიერ სადაო საკითხს გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
7.2 ურთიერთშეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

8. კონფიდენციალური ინფორმაცია

8.1 ყველა ინფორმაცია, მიღებული შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და დამკვეთისათვის მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით ითვლება კონფიდენციალურად და არ გამოიყენება შემსრულებლის მიერ სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისა და არ გადაეცემა მესამე პირს.

9. დამატებითი პირობები

9.1 ნებისმიერი ცვლილება ან დანართი, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს, შეიძლება დამატებული იქნას ხელშეკრულებისათვის ნებისმიერ დროს ურთიერთ წერილობითი თანხმობით. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით, ხელმოწერილი მხარეების მიერ და ეს დოკუმენტი ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად, რომელსაც ექნება ხელშეკრულების ტოლფასი ძალა.
9.2 წინ„მდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება დამკვეთს, ხოლო მეორე - შემსრულებელს.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს „MAXNET" **იურიდიული** საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დ.გურამიშვილის გამზირი, №12ა, კორპ. №5, ფართი №13 **ტელ: ს/კ:** 439393390 **ბანკი:** საქართველოს ბანკი **ბანკის კოდი**: BAGAGE22 **ა/ნ:** GE36BG0000000293546800 _____ ხელმოწერა, ბეჭედი თეიმურაზ სარდაროვი დირექტორი	**ა(ა)იპ თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი** **იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თელავი, დ. რექტორის ქ., №8 **ტელ:** **ს/კ**: 231288754 _____ ხელმოწერა, ბეჭედი გიორგი დაღუნდარიძე დირექტორი